ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №16

3 ივნისი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი,ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ანა გოგოლაძე, დავით ფარცვანია.

სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

მოწვეული სტუმარი:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-032214441-03; 11-01221442471 24.05.2022წ)
(საკრ.№15-032215325-03; 11-01221531287 02.06.2022წ)
(საკრ.№15-032211523-03; 11-01221513714 01.06.2022წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მუზეუმების ეპოქალური ნივთების შესყიდვის მიზნით ქვეპროგრამაში „მუზეუმების განვითარების ხელშეწყობა“ (პროგ.კოდი: 08 03 12) მეორე კვარტალში ემატება 50 000 ლარი, თანხის გადმოტანა ხდება მესამე კვარტლიდან, რაც ბალანსდება პროგრამის „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (პროგ.კოდი: 08 02) ასიგნებების შესაბამისად შემცირებით.

ინფრასტრუქტურის საქალაქო სამხურის მოთხოვნით, პროგრამაში „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ.კოდი 01 01 01) , ქალაქის მასშტაბით გზების ორმოული და პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად, მეორე კვარტალს ემატება 1 300 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან, „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები“ პროგრამაში (პროგ.კოდი: 02 09 01), მეორე კვარტალს ემატება 100 000 ლარი მესამე კვარტლიდან, ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-გაძლერების უკვე შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად, პროგრამას „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“ ემატება 220 000 ლარი, „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და ადგენა-რეკონსტრუქცია“ პროგრამის ასიგნებების (პროგ.კოდი 02 01) შესაბამისად შემცირებით.

ლევან მიქავამ წარმოდგენა ასევე რაიონული გამგეობების კვარტალური ვცვლილებები.

საბურთალოს რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში (პროგ.კოდი: 01 01 13)მეორე კვარტალს ემატება 1500 000 ლარი, ხოლო „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში (პროგ.კოდი 02 09 15) მეორე კვარტალს ემატება 750 000 ლარი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილის ქუჩაზე და დ/დიღმის II მ/რ-ში ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

უკვე დასრუებული სამუშაოების დასაფინანსებლად გლდანის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში (პროგ.კოდი: 02 09 15) მეორე კვარტალს ემატება 750 000 ლარი, ნაძალადევის რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამას (პროგ.კოდი:01 01 09)მეორე კვარტალს ემატება 520 000 ლარი, გლდანის რაიონში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამას(პროგ.კოდი 05 01 08) მეორე კვარტალს ემატება 300 000 ლარი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა რაიონული გამგეობების მიერ მოთხოვნილ სხვა კვარტალურ ცვლილებებზე.

საერთო ჯამში გადასახდელები,მეორე კვარტალში იზრდება 5 831897 ლარით, მესამე და მეოთხე კვარტლის გეგმის შემცირებით, ხოლო დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით და შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლება-საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან,მეორე კვარტლის გეგმის გაზრდით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ინფრასტრუქტურის განვითარების და კულტურის,განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას , ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თვამჯდომარე

ირაკლი ხელაძე